საზღვრის[1] გაქრობა მონტანაში (1864-1889)

მიხეილ ბარნოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

ისევე როგორც კანზასში, არიზონაში, ნებრასკასა თუ ტექსასში მონტანას ტერიტორიაზე საზღვრის ეპოქის დასასრული რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობამ განაპირობა: მომთაბარე ინდიელთა რეზერვაციაში დასახლება, აღმოსავლეთ შტატებთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციო სისტემის განვითარება, ბიზონების ჯოგების გაქრობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, მონტანაში – რკინიგზის, შემდეგ კი ავტომობილის გამოჩენა, რელიგიური და საგანმანათლებლო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, სოფლის მეურნეობის განვითარება, ტერიტორიის ეკონომიკური განვითარება. თუმცა, სპეციფიკური გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მონტანაში საზღვრის გაქრობის პროცესი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა.

1864-1889 წლებში მონტანაში საზღვრის გაქრობის თანმდევი სოციალური რეალობის ტრანსფორმაციის შესწავლა სხვადასხვა ჭრილშია შესაძლებელი. წინამდებარე სტატიაში მონატანაში საზღვრის გაქრობის ისტორია გეოგრაფიული პერსპექტივიდანაა გაანალიზებული. შორეული დასავლეთის გეოგრაფიული გარემო, ბუნებრივი პირობები და მდებარეობა განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა მონტანაში საზღვრის გაქრობის პროცესსა და ადამიანთა ცოხვრების ყველა სფეროზე. მონტანაში საზღვრის ეპოქის გაქრობის პროცესის შესწავლისას გეოგრაფიული ფაქტორის როლის გააზრება მნიშვნელოვანია. მონტანას ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გარემო განაპირობებდა მონტანაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე ცვლილებებს. ამგვარად, სტა-

---

[1] საზღვარი – (ინგლ. Frontier: a region that forms the margin of settled or developed territory; the extreme limit of settled land beyond which lies wilderness, especially in reference to the western US before Pacific settlement). ამერიკელი ახალმოსახლეების მიერ განაშენიანებული ტერიტორიის უკიდურესი საზღვარი, რომლის მიღმა ველური ბუნების ტერიტორები და ინდიელთა სამოსახლო იწყებოდა. 1860-70იან წლებში დასავლეთის ინტენსიური ათვისების შედეგად აუთვისებელი ტერიტორია იმდენად დაიყო კერძო მოსახლეების ნაკვეთებად, რომ ერთიანი უწყვეტი საზღვრის გავლება შეუძლებელი იყო, შესაბამისად, გაქრა საზღვრისპირა ოლქი.

ტიაში ძირითადი ყურადღება დაეთმობა საზღვრის გაქრობის პროცესზე გეოგრაფიულ ფაქტორის გავლენას.

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, აღმოსავლეთ შტატებში მცხოვრებ ამერიკელთათვის დასავლეთი აღიქმებოდა, როგორც ახალი საცხოვრებელი სივრცის პრაქტიკულად ამოუწურავი მარაგი. დასავლეთი, ყოველთვის ძალიან შორს, ცივილიზაციის მიღმა, განაშენიანებული შტატების დასავლეთ საზღვრების მომიჯნავედ არსებობდა. გამბედავი, საკუთარი თავის იმედად მყოფი, შრომისმოყვარე ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ დასავლეთში მიწის მიღების შანსი. ამერიკის მთავრობა ახალმოსახლეებს ხელს უწყობდა, რომ მათ ნაყოფიერ მიწაზე ახალი, უკეთესი ცხოვრება დაეწყოთ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სახელმწიფო მოღვაწეები ფიქრობდნენ, რომ დასავლეთის ათვისებას ხუთასი წელი დასჭირდებოდა. მაგრამ 1890 წლისთვის „უკიდეგანო“ ძველი დასავლეთი გაქრა, აღარ არსებობდა ცივილიზებული და აუთვისებელი, „ველური“ ინდიელებით დასახლებული სამყაროს გამყოფი საზღვარი და აღარც მონაპირე ახალშენები[1] (Paul O'Neil 1979:7).

მონტანა ორმოცდამეერთე შტატის სტატუსით, კავშირს 1889 წელს შეუერთდა. ამ დროისთვის ის უკვე დაკავშირებული იყო აღმოსავლეთთან და ამერიკის დიდ ქალაქებთან. თუმცა სულ რაღაც ოცდახუთი წლით ადრე, 1864 წელს, როდესაც შეიქმნა მონტანას ტერიტორია, ის იყო ცივილიზაციისგან ძალიან შორს მდებარე, მიუვალი და გამოუკვლევი მიწა.

კონტინენტურ შერთებულ შტატებში მონტანა ამერიკელების მიერ ათვისებული ძველი დასავლეთის ერთ-ერთი უკანასკნელი ტერიოტრიაა. დიდი დაბლობები, მომთაბარე ინდიელები, სატრანსპორტო საშუალებების სიცმირე, სასაზღვრო რეგიონისთვის დამახასიათებელი უკანონობა განიზიდავდა ყველას, გარდა ერთი მუჭა გაბედული პიონერებისა, რომელთაც უმეტესად ოქროსა და ვერცხლის მოპოვების სურვილი ამოძრავებდათ.

მონტანაში მიმდინარეობდა აშშ-ის არმიის ინდილებთან ერთ-ერთი უკანასკნელი სამხედრო დაპირიპსირებები ქვეყანაში. შესაძლებელია ითქვას, რომ, არიზონასთან ერთად[2], სწორედ მონტანაში დასრულდა თეთრკანიანი ახალმოსახლეებისა და თავისუფლად მცხოვრები ადგილობრივი ტომების დრამატული მრავალწლიანი ურთიერთობების ისტორია. მონტანაში თითქმის 1880 წლამდე შემორჩნენ მომთაბარე ინდიელები და მეომრები.

---

[1] ონაპირე ახალშენი – ამერიკული ცივილიზაციის უკანასკნელი ბურჯი დასავლეთში, ინდიელებისა და აუთვისებელი ტერიტორიების საზღვარზე გაჩენილი დასახლებული პუნქტი.

[2] იქ 1886 აშშ-ის არმიას დანებდა ჩირიკაუა აპაჩების სამხედრო ლიდერი ჯერონიმო, რითაც დასრულდა სამხრეთ-დასავლეთის ინდიელთა ომები.

როდესაც 1860-70-იან წლებში მონტანაში მაღაროელები ჩავიდნენ, ის კვლავ რჩებოდა ყველაზე დიდი ტერიტორიად ქვეყანაში, რომელსაც ინდიელები ფლობდნენ. მონტანაში გადიოდა ერთ-ერთი უკანასკნელი საზღვარი ცივილიზებულ ქალაქებსა და ინდიელებით დასახლებულ ტერიტორიას შორის (Clark C. Spence, pg. 53).

1820-იან წლებში, პრეზიდენტ მონროს ადმინისტრაციის პერიოდში, ჩამოყალიბდა ინდიელთა იძულებითი აგდილმონაცვლეობის პოლიტიკა. ენდრიუ ჯექსონის წლებში მთავრობამ ძველი ჩრდილო-დასავლეთისა და ძველი სამხრეთის ტერიტორიებიდან ინდიელები მისისიპის დასვალეთით გადაასახლა. შედეგად ჩამოყალიბდა „სამუდამო საზღვარი", რომლის დასავლეთით მხოლოდ ინდიელები იცხოვრებდნენ; ტომები შეძლებდნენ სოფლის მეურნეობის ათვისებას და „ცივილიზებას", შორეულ ტერიტორიებზე ცხოვრება კი მათ თეთრების მავნე ზეგავლენისგან დაიცავდა. „მუდმივი საზღვრის" მიღმა თეთრკანიანთა დასახლება აიკრძალა, ხოლო ტერიტორიას „ინდიელთა ქვეყანა"[1] ეწოდა (Waldman 84-87, Waxler).

1825-1840 წლებში „მუდმივი საზღვრის" დასავლეთით ჩამოყალიბებული „ინდიელთა ქვეყანა" მოიცავდა თანამედროვე მონტანას, დაკოტას, ოკლაჰომას, ნებრასკისა და კანზასის დაბლობებს (Wexler, Braun, 1995: 88-89).

„ინდიელთა ქვეყნის" ყველაზე დიდ ტერიტორიას მონტანას დაბლობები იკავებდა. „ინდიელთა ქვეყანამ" და „სამუდამო საზღვარმა" დიდხანს ვერ იარსება. მათი გაქრობა 1846-1853 წლებში მომხდარმა მოვლენებმა განაპირობა. მექსიკისგან კალიფორნიისა და სამხრეთ-დასავლეთის შემოერთებამ, ასვე ორეგონის ტერიტორიის მიერთებამ, რკინიგზის მშენებლობის პროექტმა, ოქროს ციებ-ცხელებამ, როკის მთიანეთში სასარგებლო წიაღისეულის აღმოჩენამ, ჰოუმსტედის აქტმა, ბედისწერის წინასწარგანსაზღვრულობის იდეამ დასავლეთისკენ გაფართოების ახალი ტალღა გამოიწვია. კოლონიზაციამ გაარღვია „მუდმივი საზღვარი" და ინდიელთა სამომთაბარეო არეალი შეამცირა. მზარდი რაოდენობის ემიგრანტები ინდიელთა მშობლიურ და სანადირო ტერიტორიებს კვეთდნენ. შედეგად, 1870-იანი წლების დასასრულისთვის „ინდიელთა ქვეყანა" და „მუდმივი საზღვარი" პრაქტიკულად არ არსებობდა. „ინდიელთა ქვეყნის" ოდესღაც უკიდეგანო მასივის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაფლეთი მხოლოდ მონტანას ტერიტორიის სახით იყო შემორჩენილი იმ დრომდე, ვიდრე იქიდანაც არ გაქრნენ ადგილობრივი ინდიელები და ბიზონები.

1860 წლისთვის მონტანაში მეჩხრად გაჩენილი მონაპირე ახალშენების დასავლეთით გადაჭიმულ თავისუფალ მიწებზე ჩრდილოეთ ამერიკის კონ-

[1] Indian Country.

ტინენტზე მობინადრე ბიზონების უკანასკნელი დიდი ჯოგები ბალახობდნენ. „ინდიელთა ქვეყანა“ მოიცავდა დასავლეთ დაკოტას, მონტანას აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ ვაიომინგს. აღნიშნული ტერიტორია ჯერ კიდევ წარმოადგენდა ადგილობრივი ინდიელების: ქროუს, სუს, ჩრდილოეთ შაიენების, ბლექფითების მშობლიურ მიწებს (Mark H. Brown, W.R. Felton, 1955: 13).

კანზასთან, არიზონასთან და ტექსასთან ერთად, მონტანა ის უკანასკნელი ტერიტორია იყო ამერიკაში, სადაც „ველური“ ინდიელები ყველაზე ბოლოს გაქრნენ.

როგორი იყო ძველი მონტანა, როდესაც იქ ჯერ კიდევ არსებობდა საზღვარი? ის იყო ძალიან დიდი და ყოველთვის ცივილიზაციისგან ძალიან შორს (D.W. Meinig, 1998:149).

როგორც უკვე აღინიშნა, მონატანაში გეოგრაფიულ გარემოს უდიდესი გავლენა ჰქონდა საზღვრის ეპოქის გაქრობის პროცესში. გეოგრაფიული გარემოს ფაქტორის როლის გარეშე შეუძლებელია მონტანას გარდაქმნის პროცესის სიღრმისეული გააზრება.

მონტანა შესაძლოა ბევრისთვის მთებთან ასოცირდება და მთიან მხარესაც ნიშნავს, მაგრამ, რეალურად, შტატის ტერიტორიის ორ მესამედს დაბლობები მოიცავს, მთის მასივებს კი მხოლოდ ერთი მესამედი უკავია (Merrill G. Burlingame, K. Ross Toole, 1957: 3). მიუხედავად იმისა, რომ მონტანა როკის მთიანეთის ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავდა და არა სამხრეთს, როგორც კოლორადო, მისი ადრეული ისტორია მაინც ძალიან ჰგავს კოლორადოს განაშენიანების ისტორიას. მონტანაში ახალმოსახლეთა ჩამოსვლა იქ ოქროს აღმოჩენამ განაპირობა. შორეული მონტანასკენ მიმავალ ოქროსმაძიებლებს მეზობლად მდებარე კოლორადოს ოქროს ციებ-ცხელების მაგალითიც აძლევდა სტიმულს. მონტანაში ძვირფასი ლითონის მაძიებელთა საცხოვრებელი ბანაკები ისევე მალე შენდებოდა, როგორც ქრებოდა. ამგვარად, ოქროს ციებ-ცხელებამ მონტანას ადრეული ისტორია განსაზღვრა. თუმცა, კოლორადოსგან განსვავებით, მითქმა-მოთქმა მონტანაში ოქროს არსებობის შესახებ მხოლოდ 1850-იანი წლების დასაწყისიდან გავრცელდა. მონტანას იზოლირებული გეოგრაფიული გარემო, ორეგონის ბილიკსა და დანარჩენი ტრანსკონტინენტური სატრანსპორტო არხებისგან მოშორებული მდებარეობა მონტანაში ახალმოსახლეების ჩასვლის შესაძლებლობას მინიმუმამდე ამცირებდა. უგზოობის პირობებში მონტანაში მხოლოდ ბეწვეულით მოვაჭრეები და მაუნთინმენები ჩადიოდნენ. აქა-იქ მიმოფანტული პატარა სავაჭრო პუნქტები და მისიები დასავლეთისკენ მიგრაციის ძირითად არტერიებთან და დანარჩენ საზღვართან სუსტად იყვნენ დაკავშირებული და მონტანა საზღვრის ეპოქის გაქრობამდე რჩებოდა ძველი დასავლეთის პერიფერიად (Duane A. Smith, 1992: 23).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კოლონიზაციის ადრეული პერიოდის მონტანაში დასახლებისთვის ბარიერს უფორ მეტად ქმნიდა მანძილი და გეოგრაფიული მდებაროება, ვიდრე ინდიელთა წინააღმდეგობის ფაქტორი, როგორც, თუნდაც, არიზონას შემთხვევაში, სადაც აპაჩები მომთაბარეობდნენ. თუმცა ინდიელთა წინააღმდეგობის ფაქტორის დამცრობა არაა მართებული, მით უფრო, რომ მონტანამდე და მონტანას ტერიტორიაზე ჩრდილოეთ დაბლობების ორი მომთაბარე კულტურა არსებობდა: სუ და შაიენები.

დიდი დაბლობების ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც მონტანას აღმოსავლეთით მდებარეობს, ამერიკის დასავლეთის შიდა ტერიტორიების აღმოჩენებისა და დასახლებისთვის დიდ ბარიერს ქმნიდა. სევე, მტრულად განწყობილი ინდიელების ფაქტორი, მოშიშვლებული სტეპები, სწრაფი და ბობოქარი მდინარეები, რომლებიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ხელს უშლიდა მისურის ზემო წელში მონტანას მისადგომებთან მონაპირე ახალშენების გაჩენას. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე მონტანა საინტერესო იყო მხოლოდ ბეწვეულზე მონადირეთათვის და წყნარი ოკეანისკენ არარსებული სამდინარო გასასვლელის მაძიებელთათვის (Merrill G. Burlingame, K. Ross Toole, 1957: 55).

მონტანას შესწავლისა და რუკაზე დატანის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ლიუსისა და კლარკის ექსპედიციას (1804-1806). ქსპედიციას, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა, მონტანას ისტორიაშიც გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს. ექსპედიციის განმავლობაში ლიუისმა და კლარკმა რეგიონის უაღრესად დეტალური და ყოვლისმომცველი აღწერილობა შეადგინეს, რითაც გახსნეს მონტანა სამომავლო კოლონიზაციისთვის. გადაადგილებისთვის მოსახერხებელი გზების, ფლორისა და ფუანის დეტალური აღწერით, ადიგლობრივი ინდიელების ყოფა-ცხოვრების დახასიათებით, მონტანას ფარდა აეხადა, ის აღარ წარმოადგენდა უცნობ მიწას, თუცმა, რასაკვირველია, მისი ათვისების შესაძლებლობა ჯერ არ არსებობდა, იმავე მანძილის გათვალისწინებით. ექსპედიციამ ნათელი მოჰფინა მონტანას რელიეფს, მდინარეებს, მოსახლეობას, მდიდარ რესურსებს. სწორედ მონტანაში მოხდა ექსპედიციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა: ლიუისმა და კლარკმა აღმოაჩინეს მისურის სათავე, გადმოვიდნენ ხმელეთზე, მოლაპარაკებები აწარმოეს ადგილობრივ ინდიელებთან (Merrill G. Burlingame, K. Ross Toole, 1957: 70).

რამ განაპირობა ოდესღაც მიუდგომელი, ინდიელებით დასახლებული, ,,ველური მონტანას" შტატად ჩამოყალიბება და საზღვრის გაქრობა? 1889 წელს მონტანას კავშირში შესვლა დასავლეთის ათვისების პროცესის კულმინაციას წარმოადგენდა. მონტანაში საზღვრის გაქრობა ამერიკის ისტორიაში გეოგრაფიული გარემოს, საზოგადოების, ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე

სწრაფი და დრამატული ტრანსფორმაციის მაგალითია. მონტანას არც სტაბილური ეკონომიკა ჰქონია ოდესმე, სწრაფი ტრანსფორმაციის პირობებში მას ეკონომიკის განსავითარებლად არასდროს ჰქონია საკმარისი დრო (J. K. Howard 1943: 3).

მონატანს სახით ძველი დასავლეთის უკანასკნელ, ყველაზე შორეულ რეგიონშიც წარსულს ჩაჰბარდა საზღვრის ეპოქა, რაც, თავისთავად, მთლიანად ამერიკის დასავლეთის ისტორიაში დიდი გარდატეხის დასაწყისი იყო.

1864 წელს ჩამოყალიბებული მონტანას ტერიტორია ინდიელების კარვებისა და ოქროსმაძიებელთა ქოხების დასახლებას წარმოადგენდა. ადგილობრივი ინდიელები მომთაბარე თვითმყოფად ცხოვრების წესს მისდევდნენ, მაღარლოეთა დასახლებებში საზღვრისთვის დამახასიათებელი კრიმინალი იყო გავრცლებული, ხოლო ახალშენებში კი – სახალხო სამართალი, ვიჯილანტიზმი მოქმედებდა. მიუხედვაად ამისა, მონტანა ძალიან მალე გადაიქცა ცივილიზებულ შტატად და ძველი დრო წარსულს ჩაჰბარდა. თითქმის ერთ თაობაში გაქრა საზღვრის ეპოქისთვის დამახასიათებლი მარტივი, სადა ცხოვრების წესი, რომელიც ჩაანაცვლა ინდუსტირული ეპოქის საზოგადოებამ და ეკონომიკამ. მეოცე საუკუნის ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ურბანიზაციამ, ემიგრაციამ სამუდამოდ შეცვალა მონტანას სტეპებში ცხოვრების სურათი. ტერიტორიად ჩამოყალიბებიდან ოცდახუთი წლის შემდეგ მონტანას ძნელად თუ იცნობდით, სიღრმისეულმა ცვლილებებმა მონტანა სრულიად შეცვალა: ბიზონების თვალუწვდენელი ჯოგები გაქრა, ინდიელები რეზერვაციებში ცხოვრობდნენ, კონტინენტის ერთ დროს ყველაზე სახელოვანი მეომრების სტეპებში ათიათასობით სული საქონელი და ცხვარი ბალახობდა, ბიუთი მდიდარ და დიდ ქალაქად გადაიქცა, რკინიგზამ და პრესამ კი შორეული რეგიონი მსოფლიოს დაუკავშირა.

მონტანას, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო და კომპაქტური დახასიათება ეკუთვნის მონტანას უნივერისტეტის ცნობილ პროფესორს – ჰერი ფრიცს. „კონტრასტების მიწა“ – ამ სახელწოდებით დაამკვიდრა ფრიცმა მონტანა ამერიკელთა წარმოსახვაში. ერთ-ერთი კონტრასტი მონტანას გეოგრაფული გარემოსა და ურბანული სივრცის ურთიერთმიმართებას უკავშირდება. თუკი უწინ მონტანას თავისებურებას ცივილიზაციისგან სიშორე და ადგილობრივი ინდიელების ფაქტორები განაპირობებდა, დღეს მონტანას თავისებურებაა რელიეფის, ლანდშაფტისა და ურბანული სივრცეების მიმართება. იქ კონტრასტს ქმნის უზომოდ დიდ მანძილზე გაშლილი დაბლობებისა და იზოლირებული, მეჩხრად განფენილი ურბანული სივრცეები. მონატანაში აქა-იქ მიმოფანტული ქალაქები: ჰელენა, ბიუთი, გრეით ფოლზი, მიზოულა, ბილინგსი, ბოზმენი ადგილობრივ ლანდშაფტსა და რელიეფს ისეა შეზრდილი, როგორც უწინ ადგილობრივი ინდიელების კარვები ერწყმოდა გარემომ-

ცველ ბუნებას (A. Parrett, 2014:5). როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში სახეზეა რეგიონის ბუნებრივი პირობების ზემოქმედება ადამიანთა ცხოვრებასა და კულტურაზე. როდესაც მონტანას კონტრასტების შესახებ ვსაუბრობთ, სამართლიანად შეიძლება გაჩნდეს კითხვა: არიზონა? დიახ, არიზონა... ამერიკის შტატებში ყველაზე მეტი სტერეოტიპი სწორედ არიზონას უკავშირდება. თანამედროვე არიზიონას პანორამა, ლანდშაფტისა და ისტორიული ნარატივის გათვალისინებით, ძველი დასავლეთის რომანტიკის საუკეთესო მაგალითია, მეტიც, არიზონაში ცოცხლადაა შერწყმული მოდერნულობა და სიძველე (Marshall Trimble, 1986: 10-13).

ამერიკის ისტორიაში სხვა შტატებსაც ჰქონდათ საზღვრის პერიოდი და მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მათაც მიაღწიეს „ველურობიდან" „ცივილიზებულობას". ასეთი იყო: არიზონა, კოლორადო, კანზასი, ტექსასი. საზოგადო წარმოდგენაში ბევრისთვის სწორედ ეს შტატები ასოცირდება ე.წ. ველურ დასავლეთთან, ალბათ, მათ შორის ყველაზე მეტად – ტექსასი. თუმცა, მონტანაზე შეიძლება ითქვას, რომ ის, ყველასგან განსხვავებით, ყველაზე მეტადაა ახლოს იმასთან, რასაც ის წარმოადგენდა თუნდაც 150 წლის წინ. მონტანამ სხვაზე მეტად შემოინახა ძველი დროის ატმოსფერო (A. Parrett, 2014:5).

როკის მთიანეთის ჩრდილოეთ ნაწილისა და ჩრდილოეთ დაბლობების რეგიონის ტომები, დასავლეთის სხვა რეგიონის მოსახლე ინდიელებთან შედარებით, უფრო მრავალრიცხოვანნიც იყვნენ და მათ თეთრებთან განსხვაბებული ურთიერთობა ჰქონდათ. ჩრდილოეთ დაბლობებისა და, მათ შორის, მონტანას ტერიტორიაზე მოსახლე ინდიელები, შოშონები შაიენები არაპაჰოები, ქროუ და ლაკოტა სუს სხვადასხვა კლანები 1860-იანი წლების განმავლობაში მათ მიწაზე მომრავლებული თეთრკანიანი მოსახლეობის მხრიდან მზარდ ზეწოლას განიცდიდნენ. არა ერთი თაობის განმავლობაში ბიზონი ამ რეგიონში მომთაბარე ინდიელთა ძირითად საარსებო წყაროს წარმოადგენდა. ევროპელთა მიერ ჩამოყვანილი ცხენებისა და, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის გავლენით, მონტანას ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა დიდი დაბლობების ინდიელთა ნომადური კულტურა. თუმცა 1860-იანი წლების შუა პერიოდიდან, ამერიკელთა მიერ დასავლეთის ათვისებასთან ერთად, ინდიელთა ცხოვრების, მიგრაციისა და ნადირობის ჩვეულ წესს საფრთხე დაემუქრა (Richard W. Etulain 217-218).

მართალია, მონტანას ტერიტორია ახალმოსახლეთა ძირითადი მარშრუტებიდან შორს იყო და საზღვარმა იქ შედარებით გვიან მიაღწია, მაგრამ ადგილობრივმა ინდიელებმა ძალიან მალე იგრძნეს ბიზონების განადგურების შედეგები.

ინდიელთა თვითმყოფადი კულტურის განადგურებას ხელი შეუწყო ამერიკელი მოგზაურების, პიონერებისა და მათი ცხოველების მიერ ჩამოტ-

ანილმა სხვადასხვა მწვავე დაავადებებმა. დაბლობებზე გავრცელებულმა ეპიდემიებმა ათასობით ინდიელის სიცოცხლე იმსხვერპლა. ეპიდემიებს მოჰყვა ახალმოსახლეთა სულ უფრო მზარდი ნაკადის გამოჩენა. ორი ათწლეულის განმავლობაში ორეგონისა და კალიფორნიისკენ მიმავალი პიონერების კოლონები არღვევდნენ ბიზონთა მიგრაციის ჩვეულ მარშრუტებს, შედეგად, დიდი დაბლობების ბიზონების ერთიანი დიდი ჯოგი ორ, სამხრეთ და ჩრდილოეთ ჯოგებად დაიყო. გარდა ამისა, ისინი იყენებდნე იმ ბალახს, რომელიც ბიზონებისა და ინდიელების ცხენებისთვის იყო საჭირო.

1865 წლის შემდეგ ფედერალური არმიის საზღვარზე დაბრუნებამ, სამხედრო ფორტების მშენებლობამ და ემიგრანტების ზრდამ დააჩქარა ინდიელთა ყოველდღიურობაში მიმდინარე ცვლილებების ტემპი. მათი თვითმყოფადი კულტურის გაქრობა შეუქცევადი გახდა. მთავრობა გეგმავდა სამხრეთ და ჩრდილოეთ დაბლობებზე (მათ შორის მონტანას) მცხოვრები ინდიელების რეზერვაციებში დასახლებას. პრეზიდენტმა ლინკოლნმა გაზარდა სამხედრო კონტინგენტი დასავლეთში და მონაპირე ახალშენების მცხოვრებლების დასაცავად ფორტები ააშენა. 1867-1868 წლებში ამერიკის არმიის სამხედრო კამპანიამ მნიშვნელოვანწილად შეზღუდა დაბლობის მომთაბარეთა თავისუფლება. სამხედრო ოპერაციების გარდა, მთავრობამ დიპლომატიასაც მიმართა. მონტანასა და დიდი დაბლობების ინდიელების მომავალზე დიდი გავლენა იქონია ადგილობრივ ტომებთან დადებულმა ორმა ხელშეკრულებამ. მედისონ ლოჯისა (1867) და ფორტ ლარამის (1868) შეთანხმების შედეგად, ნომადები რეზერვაციაში უნდა გადასახლებულიყვნენ და ვიდრე ფერმერები გახდებოდნენ, მთავრობა მათ საკვებით მოამარაგებდა. ხელშეკრულებების პირობებმა დაბლობის ინდიელთა ბელადებში განხეთქილება წარმოშვა. შედარებით ასაკოვანი მშვიდობისმოსურნე ბელადები გაემიჯნენ ახლაგზარდა ომისმოსურნე ბელადებს. მაგალითად, ახალგაზრდა მეომრები – ქრეიზი ჰროსი, სითინგ ბული და გალი უარს აცხადებდნენ რეზერვაციაში დასახლებაზე. მათი პოზიცია ინდიელთა შორის მზარდი განხეთქილების გამოვლინებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, არმიამ ზამთარში დაიწყო ინდიელთა წინააღმდეგ სამხედრო კამპანიების წარმოება იმ იმედით, რომ მათ ძლიერებას შეასუსტებდა და საარსებო რესურსებს მოუსპობდა. ზამთრის პერიოდში ინდიელთა ბანაკი ყველაზე დაუცველი იყო (Richard W. Etulain 218- 219).

აღსანიშნავია, რომ დასავლეთში, მათ შორის მონტანაშიც, ინდიელთა წინააღმდეგ სამხედრო კამპანიების ყველაზე ინტენსიური კამპანიები მიმდინარეობდა პრეზიდენტ გრანტის ადმინისტრაციის წლებში (1869-1877) (Roxanne Dunbar-Ortiz:146).

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს დაბლობის ინდიელთა კულტურის განსაზღვრებასთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ რომელი ტომე-

ბი ეკუთვნიან ამ რეგიონს. თუმცა შესაძლებელია გამოვყოთ დასავლეთ დაბლობებზე მოსახლე ბიზონებზე მონადირე თერთმეთი ტომი, რომლებიც ნომადი ინდიელებისთვის დამახასიათებელ ყველა ნიშანთვისებას ატარებენ. ჩრდილოეთ დაბლობზე მოსახლე ტომებიდან აღსანიშნავია შაიენები და არაპაჰოები. ჩრდილოეთ შაიენები ბლექ ჰილსის დასავლეთ ტერიტორიებზე ნადირობდნენ, ხოლო ჩრდილოეთ არაპაჰოები – მონტანასა და ვაიომინგში (P. H. Carlson, 1998: 1-2).

ამერიკის დასავლეთში ინდიელთა ტრადიციული კულტურის ერთ-ერთი ბოლო კერა მონტანაში გაქრა. მონტანასვე უკავშირდება ერთ-ერთი უკანასკნელი თავისუფალი ინდიელი მეომრების ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ. დასავლეთის ისტორიაში ამ ეპიზოდს „შაიენების შემოდგომა“ ეწოდა. 1878 წელს შაიენების წინააღმდეგობის ლიდერებმა – ლიტლ ვულფმა და დულ ნაიფმა განიზრახეს ოკლაჰომას რეზერვაციიდან (ინდიელთა ტეირტორია) დაბრუნებულიყვნენ წინაპართა მიწაზე, თანამედროვე მონტანასა და ვაიომინგის ტერიტორიაზე. ამერიკის არმიამ მათ გზა გადაუჭრა და შაიენებმა საწადელ მიზანს ვერ მიაღწიეს. მონტანას გავლით ცდილობდა კანადაში გახიზვნას ბელადი ჯოზეფი და ნეზ პერსეს ტომი, მათი დატყვევებით ჩრდილო-დასავლეთის ინდიელთა ომებიც დასრულდა (Roxanne Dunbar-Ortiz:149).

ცხენისა და ცეცხლსასროლი იარაღის გავლენით დიდ დაბლობებზე, სადაც ოცდაათამდე სხვადასხვა ტომი სახლობდა, თეთრკანიანებთან ყველაზე აგრესიული რძოლებით გამოირჩეოდნენ: სუ, შაიენები, არაპაჰო, კომანჩები, კაიოვები და კაიოვა-აპაჩები.

1880-იანი წლების დასასრულისთვის მონატანას ნომადებს და არც დიდი დაბლობის სხვა ინდიელებს რეზერვაციის გარეთ ცხოვრების შესაძლებლობა, პრაქტიკულად, ამოწურული ჰქონდათ, რადგან ამ დროისთვის მათი საარსებო წყარო – ბიზონები, ამერიკელებმა და დაავადებებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს.

სუს, შაიენებისა და არაპაჰოს ტომთა ალიანსი ხელს უშლიდა და გზას უკეტავდა ბოზმენის ბილიკზე მოძრავ ათასობით ოქროსმაძიებელს, რომლებიც დაკოტასა და ვაიომინგის ინდიელთა ტერიტორიების გავლით მონატანას ოქროს საბადოებისკენ მიემართებოდნენ. არმია შეეცადა, დაეცვა ოქროსმაძიებელები ინდიელთა თავდასმხებისგან და ბილიკის გასწვრივ ფორტების მშენებლობაც დაიწყო, თუმცა ბელადმა რედ ქლაუდმა შეძლო ამერიეკელების დროებით შეჩერება (Roxanne Dunbar-Ortiz:145). აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპის საწინააღმდეგოდ, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ 1840-70-იან წლებში, დასავლეთისკენ მიგრაციის ყველაზე აქტიურ პერიოდში, მონტანასა თუ დაკოტას დაბლობის ინდიელების თავდასხმა ახალმოსახლეთა

კოლონებზე იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. პირიქით, ინდიელები და ანგლო-ამერიკელები ცვლიდნენ ინფორმაციას, ნივთებს, ვაჭრობდნენ, ტომები სხვადასხვა დახმარებასაც კი უწევდნენ პიონერებს (Michael L. Tate).

ინდიელთა ომებმა მონტანას 1870-იან წლებში მიაღწია. მონტანაში მოხდა ამერიკის დასავლეთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი და სიმბოლური ბრძოლა ლიტლ ბიგ ჰორნთან (Gregory Michno, 203: 295-296). 1861-1877 წლებში ჩრდილოეთ დაბლობებზე და მონტანაში ინდიელებთან ომები სამხრეთ დაბლობებისგან განსხვავებული სცენარით წარიმართა. ამის მიზეზი ის იყო, რომ რეგიონის უდიდესი ნაწილი, მათ შორის მონტანა, დიდწილად დაუსახლებელი და ნაკლებად გამოკვლეული იყო. კლიმატი და მომარაგების პრობლემა არმიას სერიოზულ სირთულეებს უქმნიდა. ზამთარში დიდთოვლობა და ძლიერი ქარი ჯარისკაცებს გზას უკეტავდა, ზაფხულში კი სტეპებში სიცხე თითქმის ორმოც გრადუსს აღწევდა. ინდიელები ადგილობრივ პირობებთან იდელაურად იყვნენ ადაპტირებულები, მათ ტრადიციულ კულტურაში მეომრული სულისკვეთება საკმაოდ ძიერი იყო (C. M. Robinson III, 2003: 54-55).

ამგვარად, მონტანაში საზღვრის ეპოქის დასრულება განაპირობა ბიზონებისა და „ველური ინდიელების“ გაქრობამ, საკომუნიკაციო სისტემის განვითარებამ, საგანმანათლებლო და რელიგიური და სოციალური ინსტიტუტების განვითარებამ. რკინიგზის გაყვანასთან ერთად, მონტანა ამერიკის დიდ ქალაქებს დაუკავშირდა, ხოლო საზღვარი წარსულს ჩაჰბარდა. მონატანას დაბლობებზე ბიზონების ნადირობის ბოლო ეპიზოდებსა და მომთაბარეთა თავისუფალი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს მოესწრო მწერალი ჯეიმს ვილარდ შულცი, რომელიც იმ პერიოდში ინდიელებთან ერთად ცხოვრობდა. ავტობიოგრაფიული ჟანრის წიგნში მან კარგად ასახა საზღვრის გაქრობის პროცესი და ძველი მონტანას გაქრობა (J. W. Schultz, 1968).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Paul O'Neil, The End and the Myth, Time-Life Books, Alexandria, Virginia, 1979.
2. Clark C. Spence, Montana a Bicentennial History, W.W. Norton and Company ,Inc., New York, 1978.
3. Mark H. Brown, W.R. Felton, Montana, The Frontier Years, L.A. Huffman, Photographer of the Plains, Hennry Holt and Company, New York, 1955.
4. D.W. Meinig, The Shaping of America, A geographical Perspective on 500 years of History, v3, Yale University Press, New Haven, 1998.
5. Duane A. Smith, Rocky Mountain West: Colorado, Wyoming, and Montana, 1859-1915 (Histories of the American Frontier), University of New Mexico Press; First Edition edition (May 1, 1992), Albuquerque,

6. James McClellan Hamilton, History of Montana, from Wilderness to Statehood, Binfords and Mort, Portland, 1957,
7. Merrill G. Burlingame, K. Ross Toole, A history of Montana, v1, Lewis Historical Publishing Company, Inc. New York, 1957, pg. 3.
8. Aaron Parrett, Montana: Then and Now, Bangtail Press , Bozeman, 2014.
9. Joseph Kinsey Howard, Montana: High, Wide, and Handsome, 1943, Yale University Press, New Haven.
10. Marshall Trimble, Roadside History of Arizona, Mountain Press Publishing Company, Missoula, 1986.
11. Beyond the Missouri: The Story of the American West. By Richard W. Etulain. Albuquerque: University of New Mexico Press, 2006.
12. Gregory Michno Encyclopedia of Indian Wars: Western Battles and Skirmishes, 1850-1890 Mountain Press Publishing, 2003.
13. Roxanne Dunbar-Ortiz, An Indigenous Peoples' History of the United States for Young People (ReVisioning American History for Young People), Beacon Press 2014, Boston
14. Michael L. Tate, Indians and Emigrants, Encounters on the Overland Trails, University of Oklahoma Press, Norman, 2006.
15. Paul H. Carlson, The Plains Indians, Texas A&M University Press, College Station, 1998.
16. Jeff Barnes, Forts of the Northern Plains, Stackpole Books, Mechanicsburg, 2008.
17. Charles M. Robinson III, The Plains Wars, 1757-1900, Routledge, New York, 2003.
18. Thomas E. Mails, Dog Soldier Societies on the Plains, Marlowe and Company, New York, 1998.
19. Alan Wexler, Molly Braun, Atlas of Westward Expansion, Facts on File, 1995, New York.
20. Montana Indians Their History and Location Division of Indian Education Montana Office of Public Instruction Accessed:http://opi.mt.gov/Portals/182/Page%20Files/Indian%20Education/Indian%20Education%20101/Montana%20Indians%20Their%20History%20and%20Location.pdf
21. James Willard Schultz, My life as an Indian, Greenwich, Conn., Fawcett Publications, 1968. Accessed: https://archive.org/details/mylifeasanindia00schugoog/page/n21/mode/2up

Vanishing Frontier in Montana (1864-1889)

Mikheil Barnovi

PhD, Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

When Montana Territory was established in 1864, it was a land of Indian tepees. Most of the plains of Montana were unsettled during 1860ies. The last frontier was vast stretch of open country in Eastern Montana, homeland for Crows, Cheyennes, Sioux, Blackfeet and last herds of buffalo. As American settlers pushed westward and reached plains of Montana, they inevitably came into conflict with Indian tribes that had long been living on the land.

Colonization of Montana proceeded slightly later. Montana's development was initiated by the miners from the first gold diggings of 1862. Main obstacle for rapid colonization of Montana was the fact that it was remote. Montana was huge block of land and its population tripled in the 1880s. When Prospective gold-diggers flooded into the Rocky Mountains, the relentless pace of continental expansion inevitably heightened conflicts with Indians. In Montana the Blackfoot and Crow were forced to leave their tribal lands. Montana was the setting of the final episodes of the Indian Wars.

Relocation of Indian, new cities, churches, newspapers, schools and farming changed Montana forever. Railroads linked once isolated Montana with the rest of the world. End of Indian Wars, destruction of buffalo cause disappearing of frontier and old Montana. Transformation of Montana form wilderness to statehood took place during 1864-1889.